



MES 1 20 0000653190



01/08/2020

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 30 ივლისს**. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა, საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Topic: **vet.authorization**

Joining Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/88554733703>

Meeting ID: 885 5473 3703

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო)
) წევრები:**

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (საბჭოს მდივანი);

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

ანა საბახტარაშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ირმა გრძელიძე

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“

ბელა ავალიშვილი - დირექტორი

მაია თედორაძე - ხარისხის მენეჯერი

მავრა ტატალაშვილი - იურისტი

გელა ზაზაძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი

ინოლა გაჩეჩილაძე - ხარისხის სპეციალისტი

პროგრამის ხელმძღვანელები

სსიპ - კოლეჯი „ასი“

მალხაზ ასლამაზაშვილი - დირექტორი

დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე

ლელა ბერიაშვილი - ხარისხის სამსახურის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“

დავით უგულავა - დირექტორის მოადგილე

ნანა ნამგალაძე - ხარისხის მენეჯერი

მანანა ონაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

ექსპერტები:

ნანა შარაბიძე

ნატალია დარჩინიანი

მანანა კობალაძე

ზაირა ბერიძე

ნაზო წიბლიაშვილი

პაატა ცაგარეიშვილი

თამარ ზარანდია

ნატო გაბოშვილი

მაია გაბრავა

ნანა ხითარიშვილი

ბესიკ თეთვაძე

დიანა გახარია

თამარ დვალიშვილი

მუხრან გაფრინდაშვილი
ხათუნა მაისაია
თამარ რემიშვილი
თამარ დვალიშვილი
რუსუდან თედორაძე
თამარ ახალაძე
ვალერი ჯაჯანიძე
ციური დურული
გივი დოლიძე
გენადი კვერენჩხილაძე
ლევან მადათოვი
მაია დუნდუა
ირმა ღარიბაშვილი
ნინო ბალანჩივაძე
სოფიო მელიქიშვილი
ნანა ბარნაბიშვილი
მარინა გოგოლაძე
ირაკლი მანველიძე
ნატო ალავიძე

საბჭოს სხდომა 30 ივლისს დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და კოლეჯების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად სხდომის აუდიო ჩანაწერი მზადდებოდა და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „თმის მომსახურების“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
7. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

8. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „აგრომექანიზაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
9. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „თექის დამზადების“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
10. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „კერამიკული ნაკეთობის დამზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის (ს. ალვანი) დამატების შესახებ საკითხის განხილვა
11. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
12. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „თექის დამზადების“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
13. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმე“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
14. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
15. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
17. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
18. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საოფისე საქმის“ (ლაგოდეხი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
19. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „შედულების“ (დედოფლისწყარო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
20. სსიპ - კოლეჯი „მერმისისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
21. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
22. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საბიბლიოთეკო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ხომ არ იყო. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მიმართა საბჭოს, ექსპერტის ნატო ალავიძის შუამდგომლობის საფუძველზე, რომლის თანახმად ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ითხოვა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული 21-ე და 22-ე საკითხები განხილულიყო პირველ და მეორე საკითხად. ასევე დაამატა, რომ ტექნიკური უზუსტობაა დაშვებული და საჭიროა დღის წესრიგის 21-ე საკითხზე მეითითოს „თბილისი“ და 22-ე საკითხზე მეითითოს „ქუთაისი“ და ჩამოყალიბდეს:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საოფისე საქმის“ (თბილისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საბიბლიოთეკო საქმის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა”.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს განახლებულ დღის წესრიგს და თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო შემდეგი სახით დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საოფისე საქმის“ (თბილისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საბიბლიოთეკო საქმის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „თმის მომსახურების“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
7. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
8. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
9. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
10. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „აგრომექანიზაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
11. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „თექის დამზადების“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
12. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „კერამიკული ნაკეთობის დამზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის (ს. ალვანი) დამატების შესახებ საკითხის განხილვა
13. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
14. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „თექის დამზადების“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
15. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმე“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
17. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
18. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
19. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
20. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საოფისე საქმის“ (ლაგოდეხი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

21. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „შედულების“ (დედოფლისწყარო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
22. სსიპ - კოლეჯი „მერმისისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

1.სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საოფისე საქმის“(თბილისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
წარმდგენი: ნანა ბარნაბიშვილი; მარინა გოგოლაძე და ირაკლი მანველიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნანა ბარნაბიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ნანა ბარნაბიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1 ივლისს იმყოფებოდნენ ვიზიტზე. ცენტრის დირექტორის ბრძანებით დარგის ექსპერტად განსაზღვრული იყო მარინა გოგოლაძე, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტად- ირაკლი მანველიძე, რომელმაც დაადასტურა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით ყველაფერი წესრიგშია და არ არის კვეთა პროფესიულ პროგრამებთან.

ნანა ბარნაბიშვილმა წარმოადგინა დასკვნაში მოცემული შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.3.1 (1) - თსუ-ში პროფესიული პროგრამების შეფასება და განვითარება რეგულირდება თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესით“. წესის მე-13 მუხლი, რომელიც ეხება მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, არის წარმოდგენილი ძალიან მოკლედ და პროგრამის შეფასების მექანიზმს არ აღწერს. ამ საკითხთან დაკავშირებით, პროფესიული ცენტრის უფლებამოსილ პირთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლებელი სტუდენტების და პედაგოგების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით აფასებს პროგრამას, თუმცა შეფასების მექანიზმის კრიტერიუმები ოფიციალური გაწერილი რომელიმე ნორმატიულ დოკუმენტში

წარმოდგენილი არ იქნა. შენიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იზიარებენ რეკომენდაციას და უახლოეს მომავალში დაიწყებენ ამ საკითხზე მუშაობას.

2.4 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესი რეგულირდება თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის ნაწილში, ბუნდოვანია და მკაფიოდ არაა განსაზღვრული მოდულზე დაშვების წინაპირობა (მე-15 მუხლი მე-5 და მე-6 პუნქტი).

2.4.2 (1; 2) – არ არის გაწერილი ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, დაწესებულება ამ ხარვეზის გამოსწორებას გეგმავს 6 თვის ვადაში. აქვე შენიშნა, რომ განაცხადის წარმოდგენისას დაწესებულებას აქვს მეტწილი შესაბამისობა მონიშნული,

2.4.2 (3) - თსუ პროფესიული განათლების ცენტრი დამატებით, პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს პროცედურას, რომელიც უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. ასევე, შეფასების უწყისის წარმოებას, შენახვას კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურა შემუშავდება არა უგვიანეს 6 თვის პერიოდში.

აღნიშნა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტს ტექნიკურ უზუსტობაზე ჰქონდა შენიშვნები, თუმცა ვიზიტის დროს ადგილზე გასწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საოფისე საქმის“ (თბილისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. თბილისში (**დანართი 1**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

2.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საბიბლიოთეკო საქმის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნანა ბარნაბიშვილი; მარინა გოგოლაძე და ნატო ალავეიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნანა ბარნაბიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ყურადღება გაემახვილებინა იმ საკითხებზე და რეკომენდაციებზე, რაც არ დაფიქსირებულა ამავე დაწესებულებისთვის წინა საკითხის განხილვის დროს.

ნანა ბარნაბიშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც იგივე რეკომენდაციებია გაცემული, რაც წინა საკითხთან დაკავშირებით. შენიშნა, რომ ანალოგიურ პროგრამას დაწესებულება წარმატებით ახორციელებს თბილისში და ეხლა სურს პროგრამა განახორციელოს ქ. ქუთაისშიც. პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას, რომლის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკასთან. აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკაში ვიზიტი, მოხდა დირექტორთან გასაუბრება და მისი მხრიდან დადასტურდა პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. ნანა ბარნაბიშვილმა აქვე დაადასტურა, რომ პირადად ის იცნობს ამ ბიბლიოთეკას, მის მატერიალურ რასურსებს და შესაძლებლობებს.

ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ბევრი იმსჯელა 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით და აპირებენ ამ კომპონენტის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებას. შენიშნა, რომ 2.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს, მონიშნული ჰქონდათ მეტწილი შესაბამისობა. აღნიშნა, რომ ქუთაისში მართლაც დიდი მოთხოვნა ბიბლიოთეკარზე და ამითაა განპირობებული პროგრამის დამატების საჭიროება. პროგრამის ხელმძღვანელს და განამახორციელებლებს აქვთ ძალიან დიდი გამოცდილება და შესაბამისად მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა. აღნიშნა, რომ დარწმუნებულია კურსდამთავრებულთა დასაქმება გარანტირებული იქნება იმდენად დიდი მოთხოვნა კადრებზე ამ მიმართულებით. შენიშნა, რომ პროგრამა სრულად უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წინა სხდომაზე 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით არაერთხელ იმსჯელა საბჭომ და ცენტრს უკვე მიმართა შუამდგომლობით დაწესებულებაში 2.3 კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგი განხორციელდეს 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. ამდენად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგის გარეშე დააყენოს კენჭისყრაზე საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საბიბლიოთეკო საქმის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საბიბლიოთეკო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. ქუთაისში **(დანართი 2)**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

3. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „თმის მომსახურების“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნანა შარაბიძე და ნატალია დარჩინიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნანა შარაბიძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ოპიზარში“ განხორციელდა ვიზიტი „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა შარაბიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 1 ივლისს.

საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შენიშვნები არ აქვთ. მატერიალური რესურსი მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი და პრაქტიკის სამი ობიექტი, რაც მოინახულეს ვიზიტის ფარგლებში აკმაყოფილებს მოთხოვნებს. თითოეული პრაქტიკის ობიექტი მიიღებს 6 პროფესიულ სტუდენტს, შესაბამისად ერთდროულად 18 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს კოლეჯს.

შენიშნა, რომ დაწესებულების და ექსპერტების შეფასებები ერთმანეთს დაემთხვა. შენიშვნა ჰქონდათ სტრატეგიული გეგმის შინაარსობრივ ნაწილში: ინდიკატორი 1.2.1.3 - სტრატეგიულ გეგმა (2019-2025წ.წ.) არ მოიცავს სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს, რასაც გავყავართ ავტორიზაციის პირველი სტანდარტის დარღვევაზე, ამიტომ დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა უნდა მოიყვანოს 1.2.1 კომპონენტის მე-3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ინდიკატორი 4.1.1.3 - დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტთან.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციით - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი“ - იკვეთება ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის დარღვევა, არაა დაცული ინტერესთა კონფლიქტი, ხარისხის მართვის მენეჯერი არ უნდა იყოს ჩართული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში სწავლის შედეგების დადასტურებამდე, ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა შეასრულოს მაკონტროლებელის ფუნქცია, ასევე საკუთარი შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი.

კომპონენტი 2.4.2. - რეკომენდაცია მიეცეთ დაწესებულებამ გადახედოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში“ გაწერილ ვერიფიკაციის მექანიზმს და ვერიფიკაციის პროცესის ქმედითობისათვის გამიჯნოს ვერიფიკაციის ეტაპებისთვის პასუხისმგებელი პირები.

დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 40 პროფესიული სტუდენტის ადგილი. თუმცა, კოლეჯის სივრცეში A-C გარემო მოწყობილი იყო 12 სტუდენტისთვის და ექსპერტების შეთავაზებით 6 სამუშაო ადგილის ნაცვლად მოეწყო 8 ადგილი და ერთ ადგილზე ერთდროულად 2 ადამიანის გათვალისწინებით შესაძლებელია ჯგუფში 16 სტუდენტის მიღება, შესაბამისად ორი ჯგუფის შემთხვევაში - 32 პროფესიული სტუდენტის.

პროგრამის რესურსთან დაკავშირებით შენიშნა, რომ საგნობრივი პროგრამის განხორციელების დროს წინა წლებში მოხდა ყოველწლიურად აღჭურვილობის განახლება და შესაბამისად სრულად შეესაბამება მოთხოვნებს, რაც რეალურად 32-ზე მეტი რაოდენობის მსმენელსაც მოემსახურება, თუმცა A-C გარემოა ამ შემთხვევაში შემაფერხებელი.

ექსპერტები იმყოფებოდნენ 3 სალონში, მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ თითოეულში 6 სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი, სულ მაქსიმუმ 18 სტუდენტი - ერთ ცვლაში. ხოლო კოლეჯის A-C გარემოს მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამაზე მაქსიმუმ შესაძლოა დაფიქსირდეს 32 პროფესიული სტუდენტის ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „თმის მომსახურების“ დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თმის მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 3**) გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც არ მოიცავს მიზნის მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს, რის გამოც ირღვევა ავტორიზაციის პირველი სტანდარტი. ასეთ შემთხვევაში ექსპერტები ვალდებული არიან დააფიქსირონ დასკვნაში და ამ შემთხვევაში საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს ჩაინიშნოს მონიტორინგი 1.2 კომპონენტთან მიმართებაში. შემოწმება შეიძლება განხორციელდეს დოკუმენტების გამოთხოვის გზით, თუმცა ეს არ იქნება მონიტორინგი რომელიმე პროგრამასთან მიმართებაში, შესაბამისად მონიტორინგის საფასურის გადახდაც დამოუკიდებლად მოხდება. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ, რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს.

კოლეჯის დირექტორმა დაასახელა, რომ მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 30 ნოემბერი.

4. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის და მატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნანა შარაბიძე და მანანა კობალაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამთა კვინიკაძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ოპიზარში“ განხორციელდა ვიზიტი „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ყურადღება გაემახვილებინა იმ საკითხებზე და რეკომენდაციებზე, რაც არ დაფიქსირებულა ამავე დაწესებულებისთვის წინა საკითხის განხილვის დროს.

შესაბამისობის რეკომენდაცია -

საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალით განსაზღვრული ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანის ნაცვლად დაწესებულების C გარემოში წარმოდგენილი იყო საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგებზე გასვლას. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ადრეც სურდათ უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანების შეძენა, მაგრამ COVID-19 გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარების გამო, ვერ მოხერხდა შესყიდვების პროცესის განხორციელება, თუმცა მომწოდებელ კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და სასწავლო პროცესში აღნიშნული საკერავი მანქანების გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში) შეძლებენ საჭირო მანქანების შეძენას, რათა საფრთხე არ შეექმნეს პროგრამის განხორციელებას.

2.2.1.1; 2.4.1.5 რეკომენდაცია მიეცეთ დაწესებულებამ შეიძინოს დანართი №1-ით „სასწავლო გარემოს და მინიმალური მატერიალური რესურსი“ განსაზღვრული, 14 ცალი ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა დაწესებულების C გარემოში სასწავლო პროცესში მათი გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში).

ამასთანავე, ვინაიდან ქალაქში არაა სამრეწველო საწარმო და პრაქტიკის არსებული ობიექტი, სამკერვალო ატელიე (მისი მცირე სიმძლავრის გამო) ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგის სრულად მიღწევას, ასევე შესაძლებელი იქნება მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ ადგილზე, დაწესებულების C გარემოში გავლა.

განვითარების მიზნით კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია - 2.4.2 კომპონენტი - მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ფარგლებში განხორციელდეს გასვლითი (რეგიონის გარეთ) მიზნობრივი ექსკურსია სამკერვალო საწარმოში, ვინაიდან რეგიონში არ არსებობს ამის შესაძლებლობა.

2.4.1.5 რეკომენდაცია მიეცეთ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში განახორციელონ ცვლილება და მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ სწავლება დაიწყონ არა 39 კვირიდან, არამედ 1 კვირიდან, რათა მოდულის „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება“ დაწყებამდე მოხდეს მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ გარკვეული სწავლის შედეგების მიღწევა.

შენიშნა, რომ კოლეჯი ითხოვს 42 პროფესიული სტუდენტის ადგილს, თუმცა A გარემო მოწყობილია 14 სტუდენტზე, C გარემო საწარმოო მანქანების შესყიდვის შემთხვევაში მოეწყობა ასევე 14 სტუდენტზე და შესაბამისად, შესაძლებელია პროგრამაზე განისაზღვროს 28 პროფესიული სტუდენტის რაოდენობა.

თავმჯდომარემ კოლეჯის წარმომადგენელს მისცა სიტყვა პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით.

კოლეჯის დირექტორმა, ბელა ავალიშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. შეცდომა დაუშვებს, როცა იფიქრეს რომ არსებული საყოფაცხოვრებო სამკერვალო მანქანები საკმარისი იქნებოდა სწავლის შედეგების მისაღწევად. ამ ეტაპზე მომზადებულია სატენდეტო პროექტი და სამრეწველო მანქანების შეძენა სწავლის დაწყებამდე დასრულდება, გეგმის მიხედვით ეს მოხდება 22 ოქტომბერამდე.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ გადაწყვიტა კოლეჯმა ამ პროგრამის დამატება და სად დასაქმდებიან სტუდენტები, არსებობს თუ არა პოტენციური დამსაქმებლები პარტნიორი ორგანიზაციის სახით.

ბელა ავალიშვილმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია ინდ. მეწარმეებთან, რომლებიც დაფუძნებულია კოლეჯის ანალოგიური შინაარსის წინა პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ. სამომავლოდ რეგიონში იგეგმება საწარმოს შექმნა და წინასწარ ზრუნავენ დარგის განვითარებაზე.

შორენა ჯაფარიძეს ექსპერტების რეკომენდაცია მოეწონა, რომ გაცნობითი პრაქტიკა გაიარონ სხვა ქალაქში რეალურ საწარმოში.

ბელა ავალიშვილმა შენიშნა, რომ წინა ეტაპზე ამის გამოცდილება უკვე ჰქონდათ და საწარმოო პრაქტიკა სხვა ქალაქში, ნინოწმინდაში, ხორციელდებოდა, კოლეჯი კი ზრუნავდა სტუდენტთა გადაადგილებაზე. დაწესებულებას გააზრებული აქვს ამის საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ ეთანხმება ექსპერტების შეფასებას ყველა კომპონენტთან მიმართებით. აქედან გამომდინარე 2.2 კომპონენტის ნაწილში საკითხი განიხილება მონიტორინგის დანიშვნით. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ საჭიროა განხორციელდეს მონიტორინგის ვიზიტი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ, რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს, ყველა იმ რისკის გათვალისწინებით რა შეფერხებები შეიძლება მოხდეს ამ პერიოდში.

კოლეჯის დირექტორმა დაასახელა, რომ მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 30 ნოემბერი. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

5. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნანა შარაბიძე და ზაირა ბერიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნანა შარაბიძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ოპიზარში“ განხორციელდა ვიზიტი „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ყურადღება გაემახვილებინა იმ საკითხებზე და რეკომენდაციებზე, რაც არ დაფიქსირებულა ამავე დაწესებულებისთვის წინა საკითხის განხილვის დროს.

ნანა შარაბიძემ შენიშნა, რომ ამ ვიზიტის დროსაც ხარვეზები დაფიქსირებულია იგივე, რაც წინა საკითხის განხილვისას აღინიშნა.

დარგის ექსპერტმა ზაირა ბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამასთან მიმართებით ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. მცირე ტექნიკური უზუსტობები, რაც ფიქსირდებოდა ადგილზე გასწორდა. ექსპერტები ეთანხმება მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას. კულინარიის მიმართულებით პროგრამას კოლეჯი ახორციელებს უკვე წლების მანძილზე. პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება ადგილზე, კულინარიის ნაწილში, საერთო დარგობრივი ერთი მოდულის, რამდენიმე სწავლის შედეგი გატანილია პრაქტიკის ობიექტზე და გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 5**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი ტრაპაიძემ.

6. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნაზო წიბლიაშვილი და პაატა ცაგარეიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნაზო წიბლიაშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ოპიზარში“ ვიზიტი განხორციელდა „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ყურადღება გაემახვილებინა იმ საკითხებზე და რეკომენდაციებზე, რაც არ დაფიქსირებულა ამავე დაწესებულებისთვის წინა საკითხების განხილვის დროს.

დარგის ექსპერტმა, პაატა ცაგარეიშვილმა ისაუბრა კონკრეტულად პროგრამასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებზე: კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი შემოსავლების სამსახურთან. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ სსიპ - შემოსავლების სამსახური გამოხატავს თანხმობას, შესაძლებლობის ფარგლებში, კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა გაიარონ, საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმის“ პრაქტიკული სწავლება სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში.

კითხვაზე, თუ სსიპ-შემოსავლების სამსახური ითხოვს „უმაღლეს განათლებას“, ვინ ისწავლის საბაჟო საქმის „პროფესიულ პროგრამაზე“ - კოლეჯის დირექტორმა გვიპასუხა, რომ უმაღლესი

განათლების მქონე პირები, რომელთაც სურთ ცოდნის გაღრმავება საბაჟო მიმართულებით. ვინაიდან მოცემულ მომენტში სსიპ-შემოსავლების სამსახური „პროფესიულ განათლებას“ არ განიხილავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა კი შეუძლიათ ასევე აპლიკანტებს სრული ზოგადი განათლებით, ამ უკანასკნელთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სასურველია, კოლეჯმა მოიძიოს ინფორმაცია დარგის შესაბამისი კერძო დაწესებულებების შესახებ (საბაჟო საწყობები, ტერმინალები და სხვა) და გააფორმოს მსგავსი მემორანდუმები ამ დაწესებულებებთანაც. ასეთი ურთიერთობა, ერთის მხრივ გაამრავალფეროვნებს პროგრამის პრაქტიკული ნაწილის სწავლებას და პროფესიულ სტუდენტებს დაანახებს პროფესიას როგორც საჯარო სამსახურის, ისე კერძო სექტორის მხრიდან, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ცნობადობისა და სანდოობის გაზრდას პოტენციურ დამსაქმებლებში.

კოლეჯის დირექტორმა ამ რეკომენდაციისთვის ექსპერტთა ჯგუფს მადლობა გადაუხადა, ვინაიდან კერძო სექტორთან გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებები კურსდამთავრებულთა დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობის გარანტი იქნება. ვინაიდან ახალციხეში არის საბაჟო საწყობი, სადაც შეიძლება სწავლის შედეგების მიღწევა, კოლეჯმა გააფორმა ხელშეკრულება და წარმოუდგინა ექსპერტებს ვიზიტის დასრულების დღესვე.

კოლეჯს სურს 45 სტუდენტის მიღება, სამ ჯგუფად 15-15 სტუდენტის ოდენობით, თუმცა ამ რაოდენობას ვერ აკმაყოფილებდა მატერიალური რესურსი B გარემოში და ადამიანური რესურსის რაოდენობა. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით ვიზიტის ფარგლებში დაკორექტირდა და 2 ჯგუფისთვის 20-20 სტუდენტით განისაზღვრა მათი შესაძლებლობები, ჯამში 40 პროფესიული სტუდენტით.

საბჭომ აღნიშნა, რომ ინსტიტუციური სტანდარტის შემოწმებისთვის წინა საკითხზე უკვე განსაზღვრულია, კონკრეტულად ამ პროგრამისთვის მონიტორინგს საჭიროდ არ თვლის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 6)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

7.სსიპ-კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნაზო წიბლიაშვილი და თამარ ზარანდია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნაზო წიბლიაშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ოპიზარში“ განხორციელდა ვიზიტი „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ნაზო წიბლიაშვილმა აღნიშნა ვიზიტის ფარგლებში კოლეჯის საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვით:

დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებად ექსპერტებმა მიიჩნიეს ურთიერთობები კოლეჯის საკუთარ კურსდამთავრებულებთან, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, როგორც პრაქტიკის ბაზასთან, საკუთარ კურსდამთავრებულთან, რომელმაც განავითარა საკუთარი ფერმა და ხელს შუწყობს უკვე სხვა მსურველებს საკუთარი ბიზნესის უკეთ დაგეგმვაში.

ასევე, საუკეთესო გამოცდილებად იქნა მიჩნეული ურთიერთობა სამცხე-ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაციასთან, სწავლების განხორციელებაში ჩართულია უშუალოდ ასოციაციის წარმომადგენელი, ასოციაციაში გაერთიანებულია 60- ზე მეტი ფერმერი, რაც საშუალებას მისცემს სწავლების პროცესში ჩართული პირის მეშვეობით რეალურ გარემოში გაეცნონ ფერმებში წარმოშობილ პრობლებს და გაითვალისწინონ მომავალ საქმიანობაში.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა სულ რამდენი ხელშეკრულებაა გაფორმებული პრაქტიკის მიზნებისთვის. ნაზო წიბლიაშვილმა აღნიშნა, რომ გაფორმებულია 9 ხელშეკრულება, აქედან ეს ერთია მსხვილი ხელშეკრულება, რამდენადაც 60 ფერმერია გაერთიანებული ვეტერინართა ასოციაციაში.

კახაბერ ერაძე დაინტერესდა რა შუაშია ამ პროგრამასთან ვეტერინართა ასოციაცია. ნაზო წიბლიაშვილმა უპასუხა, რომ პროგრამის ძირითადი კონცენტრაცია არის მეცხოველეობა, ასევე, დამატებით არჩევითი მოდულებია მემცენარეობიდან.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი დიდხანია ახორციელებს ვეტერინარიის და მეცხოველეობის პროგრამებს და ეჟვი არ ეპარება, რომ ასევე წარმატებულად განხორციელდება ეს პროგრამაც.

შორენა ჯაფარიძემ იკითხა რას ეხებოდა საუბარი, როცა ექსპერტების მიერ ეძლევა რეკომენდაცია პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით გადახედვასთან, საუბარია ზოგად მეთოდოლოგიაზე თუ კონკრეტულად ამ პროგრამისთვის.

ნაზო წიბლიაშვილმა აღნიშნა, რომ საუბარია კონკრეტულად ამ პროგრამასთან დაკავშირებით, ვინაიდან რესურსები საკმაოდ ბევრია ვიდრე მოთხოვნილი რაოდენობა და დაინტერესდნენ თუ რატომ არ მოითხოვეს მეტი რაოდენობის სტუდენტები წარმოდგენილ პროგრამაზე.

ბელა ავალიშვილმა აღნიშნა, რომ აგრომექანიზაციიდან, ვეტერინარიიდან და კიდევ სხვა პროგრამებიდან აპირებენ მოკლევადიანი პროგრამის განხორციელებასაც და ეს პროგრამებიც იმავე მატერიალური რესურსით ისარგებლებენ და ამიტომ არ მოითხოვეს 30 სტუდენტზე მეტი.

ნაზო წიბლიაშვილმა საბჭოს წარმოუდგინა ამ პროგრამისთვის გამოყოფილი შესაბამისი სასწავლო გარემოების და პრაქტიკის ობიექტების ფოტოსურათები.

თავმჯდომარემ ჰკითხა დარგის ექსპერტს, ხომ არ სურდა რაიმეს დამატება.

დარგის ექსპერტმა თამარ ზარანდიამ დაამატა, რომ მეცხოველეობის და მემცენარეობის მიმართულების რთდროული სწავლება მეტად მომხიბვლელია დაპერსპექტიული სამომავლო საქმიანობის განსახორციელებლად. აქვე აღნიშნა, რომ რეგიონში ამ ტიპის მეურნეობები რეგიონში მრავლადაა და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას. აქვე შენიშნა, რომ კოლეჯში ამ პროგრამის განამხორციელებელი კვალიფიციური პირები არიან და შეუძლიათ ასწავლონ დარგის თანამედროვე მიდგომების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 7)**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

8.სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნატო გაბოშვილი და მანია გაბრაჯა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნატო გაბოშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ოპიზარიში“ განხორციელდა ვიზიტი „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ყურადღება გაემახვილებინა იმ საკითხებზე და რეკომენდაციებზე, რაც არ დაფიქსირებულა ამავე დაწესებულებისთვის წინა საკითხის განხილვის დროს.

ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში იგივე რეკომენდაცია გაცემული, რაც წინა საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტზე იმყოფებოდა 2020 წლის 1 ივლისს. თვითშეფასების შედეგებით სრულ შესაბამისობას ადასტურებენ სტანდარტთან მიმართებით. კონკრეტულად ამ პროგრამასთან დაკავშირებით, შენიშნა, რომ სასურველია დაწესებულებამ გადახედოს „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ და დააკორექტიროს კოლეჯში B სასწავლო გარემოს წლიური დატვირთვის გაანგარიშება, კერძოდ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვროს B გარემოს საჭიროება და შემდეგ გამოითვალოს B გარემოს გამტარიანობა, ანუ ცვლებში დაარეგულირონ ჯგუფები, რომ არ მოხდეს გადაფარვა. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ შესაძლებელია 40 პროფესიული სტუდენტით განისაზღვროს რაოდენობა. იქნება ორი 20 კაციანი ჯგუფი, კოლეჯში მოწყობილია შესაბამისი აღჭურვილობით მოწესრიგებული A და B გარემოები, თითოეულში 20 ადგილით.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა B გარემო მხოლოდ ამ პროგრამისთვის გამოიყენება თუ არა. ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სპეციფიკის დატვირთვიდან გამომდინარე მხოლოდ ამ პროგრამის ჯგუფი იყენებს ამ B გარემოს. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მემორანდუმი გაფორმებულია ახალციხის მუნიციპალიტეტთან და „რაბათის ციხესთან“. აქვე შენიშნა, რომ მხოლოდ ახალციხის მუნიციპალიტეტიც კი შეძლებს 40-ვე სტუდენტის მიღებას.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად იძლევა სწავლის შედეგების მიღწევას. ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ქ. გორის პროფესიული კოლეჯის, სსიპ კოლეჯი „განთიადის“ ამავე პროგრამის ხელმძღვანელი იყო და გასაუბრებისას გამოჩნდა მისი მაღალკვალიფიციურობს. მან შეიცვალა საცხოვრებელი ქალაქი და სსიპ კოლეჯ „ოპიზარს“ გაუმართლა, რომ მიიღო ის პროგრამის ხელმძღვანელად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 8**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

9.სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნატო გაბოშვილი და ნანა ხითარიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნატო გაბოშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ოპიზარში“ განხორციელდა ვიზიტი „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში იგივე რეკომენდაციებია გაცემული, რაც წინა საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა სტანდარტთან მიმართებით დააფიქსირა

სრული შესაბამისობაა. პროგრამაზე 40 სტუდენტია მოთხოვნილი. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია VTB ბანკთან და „კრედო“ ბანკთან. ექსპერტები შეხვდნენ აღნიშნული ბანკების ქ. ახალციხის ფილიალების ხელმძღვანელებს და ამ ორ ბანკში შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევა 40 სტუდენტისთვის.

დარგის ექსპერტმა დააკონკრეტა, რომ რეკომენდაცია გაცემულია 2.2.1 კომპონენტთან მიმართებით: პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პსდ-ს საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი - ულტრაიისფერი დეტექტორი - „ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან“ აქვს გადაცემული ერთ წლის ვადით მიღება- ჩაბარების აქტით. მართალია, მოცემული მომენტისთვის, დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს განახორციელოს პროგრამა შეუფერხებლად, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული რესურსი კოლეჯს გადაცემული აქვს მიღება-ჩაბარების აქტით ერთი წლის ვადით, ამიტომ, სასურველია პროგრამის გრძელვადიანი განხორციელების მდგრადობასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის მიზნით პსდ-მ შეიმუშაოს განვითარების გეგმა.

ბელა ავალიშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯი მზადაა შეიძინოს მატერიალური რესურსი - ულტრაიისფერი დეტექტორი, ასევე თუ პროგრამის იმ დროისთვის, როცა საჭიროა ეს დეტექტორი, თუ რაიმე შეფერხების გამო ვერ მოხდება ამის დროული შეძენა, VTB ბანკი გამოთქვამს მზაობას, საჭიროების შემთხვევაში, გააგრძელოს აღნიშნული ხელშეკრულების ვადა. ასევე დაამატა, რომ თანამშრომლობასთან დაკავშირებით მოლაპარაკება მიმდინარეობს ლიბერთი ბანკთან.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მისი გამოცდილებით, ბანკები ძნელად გამოთქვამენ მზაობას, გაატარონ პრაქტიკა კოლეჯების პროფესიულ სტუდენტებს და დაინტერესდა, ექსპერტები თუ იმყოფებოდნენ ბანკებში და როგორია მათი მზაობა.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელია ბანკის წარმომადგენელი და ის ჩართულია მოდულის განხორციელებაშიც.

დარგის ექსპერტმაც დაადასტურა, რომ იმყოფებოდნენ ბანკებში და გამოიხატა მათი მხრიდან მზაობა. კრედო ბანკის ხელმძღვანელმა ასევე გამოთქვა მზაობა კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, ვინაიდან ყოველწლიურად მინიმუმ 15 ვაკანსია აქვთ. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო მონიტორინგის ჩანიშვნას საჭიროდ არ თვლის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 9).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

10. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „აგრომექანიზაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: ნატო გაბოშვილი და ბესიკ თეთვაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნატო გაბოშვილის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა - სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“, „აგრომექანიზაციის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 ე-პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 3 ივლისს. შენიშნა, რომ კოლეჯს აქვს ამ მიმართულებით პროგრამის განხორციელების დიდი გამოცდილება ანალოგიურ საგნობრივ პროგრამაზე და შესაბამისად აქვთ მდიდარი მატერიალური რესურსის ბაზა, რისი შესაბამისობაც დაადგინეს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებთან. სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ვიზიტის გარგლებში ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზე, რომელმაც გამოთქვა თანამშრომლობის მზაობა. ექსპერტებს ვიზიტის დროს შპს მექანიზატორთან გაფორმებული განახლებული ხელშეკრულება დახვდათ, საუბარია ორგანიზაციის სახელწოდების ცვლილებაზე.

ინტეგრირებული მოდულები მეცნიერება და ტექნოლოგიები ხორციელდება კოლეჯში და ახალციხის პირველ საჯარო სკოლაში ერთობლივად. ვიზიტი განხორციელდა აღნიშნულ სკოლაში და ნახეს თანამედროვე ლაბორატორიული ტექნიკა და აღჭურვილობა. სკოლის

დირექტორმა ექსპერტებს დაახვედრა დატვირთვის გეგმა, თუ როგორ გადაანაწილებენ ამ ლაბორატორიის დატვირთვას სკოლის მოსწავლეებსა და პროფესიული სტუდენტებზე, იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესის წარმართვას.

კოლეჯს მოთხოვნილი აქვს 28 პროფესიული სტუდენტის ადგილი. ამჟამად მოდულურ პროგრამაზე სწავლობს 11 სტუდენტი. პირველ ეტაპზე აპირებენ 14 სტუდენტის მიღებას და შემდეგ, როცა მოდულურზე ის 11 სტუდენტი სწავლას დაასრულებს, შემდეგ გამოაცხადებენ მიღებას ინტეგრირებულ პროგრამაზე სრულად 28 სტუდენტამდე.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ რესურსები, რაც ჭირდება პროგრამის ინტეგრირებას, არის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის აღჭურვილობა. დაინტერესდა, რატომ დასჭირდა დაწესებულებას სკოლის რესურსის გამოყენება, ვინაიდან ეს კოლეჯი ინტეგრირების პროცესის პილოტირების რეჟიმში მონაწილეობდა და, რამდენადაც მისთვის ცნობილია, გაეროს პროექტის ფარგლებში კოლეჯი აღიჭურვა შესაბამისი რესურსებით. ამ შემთხვევაში კი გამოდის, რომ პროფესიული სტუდენტი, რომელიც საბაზო განათლების დასრულების შემდეგ, პროფესიულ განათლებაზე აჩერებს არჩევანს, ისევ სკოლაში მიდის, ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის სასწავლად, რაც ვერ იქნება მხარდაჭერილი ცენტრის მხრიდან ინტეგრირებული პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ აღჭურვილობა უფრო თანამედროვეა სკოლის სივრცეში და ამდენად კოლეჯმა პარტნიორობა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია, თუმცა აღჭურვილობა ორივეგანაა, როგორც კოლეჯში, ასევე სკოლაში.

ბელა ავალიშვილმა აღნიშნა, რომ ადგილზე თითქმის სრულად არის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც მოითხოვება ლაბორატორიაში. მან ასევე შენიშნა, რომ პილოტირების პროცესი კოლეჯში შეჩერდა გარკვეული მიზეზების გამო და ვერ მოხერხდა ლაბორატორიის შექმნა. კოლეჯში არსებული გარემო მოწყობილია საგნობრივი პროგრამის მატერიალური რესურსით, ასევე გამოიყენება ელექტრობის პროგრამითვის საჭირო რესურსის ნაწილი. შენიშნა, რომ გეგმაში გაწერილი აქვთ, რომ მთლიანად კოლეჯის ლაბორატორიაში მოხდება მოდულების სწავლება. სტრატეგიულ გეგმაში მითითებულია, რომ მეოთხე დონის ინტეგრირებულ პროგრამების დამატებას გეგმავენ და შესაბამისად, მოხდება ლაბორატორიის სრულყოფილი მოწყობა კოლეჯის სივრცეში. ამ პერიოდამდე რამდენიმე შედეგის მიღწევა მოხდება პარტნიორ სკოლაში.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ლოგიკურია საბჭო იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას, თუმცა როგორც ცენტრის წარმომადგენელი, ზოგადი განათლების ინტეგრირებული მოდულებისათვის ისურვებდა, რომ კოლეჯი იყოს თვითკმარი ლაბორატორიის კუთხით, გარემო უნდა იყოს მოწყობილი კოლეჯის სივრცეში. სკოლის მოსწავლე სწორედ, რომ „გამოიქცა“ სკოლის სივრციდან და ფიქრობს, რომ არის სწორი მიდგომა დავაბრუნოთ იგივე სივრცეში.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ იზიარებს მოსაზრებას, თუმცა დროებით, თავის დაზღვევის მიზნით, დაიდო ეს ხელშეკრულება, თუმცა შეიძლება ამ სწავლის შედეგების მიღწევის მიზნისთვის სწავლის დაწყებამდე შეიძინონ კიდევ საჭირო აღჭურვილობა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ რამეს დაამატებს, მისეალმება ასეთი პროგრამების სიმრავლეს საქართველოს პროფესიულ კოლეჯებში.

შორენა ჯაფარიძემ იკითხა, პროგრამის ხანგრძლივობა რამდენია და სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული მოდულები რა პერიოდიდან იწყება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ პროგრამა სამ წელზეა გათვლილი და ინტეგრირებული მოდულები ძირითადად ორი წლის განმავლობაში ისწავლება. შენიშნა, რომ რამდენიმე ინტეგრირებული მოდული ისწავლება ერთდროულად.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, დოკუმენტის სახით თუა ჩამოყალიბებული სადმე, რომელი სწავლის შედეგები ისწავლება სკოლის სივრცეში, ლაბორატორიაში, ანუ პროგრამის რა ნაწილია გატანილი სკოლაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორია სრულად არის კოლეჯში, ფიზიკის მხოლოდ რამდენიმე ხელსაწყოა, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ახალციხის პირველ სკოლაში.

საბჭომ არ ჩათვალა საჭიროდ, ჩაინიშნოს მონიტორინგი, რამდენადაც იზიარებს ექსპერტთა შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „აგრომექანიზაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აგრომექანიზაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 10**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

11.სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „თექის დამზადების“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: დიანა გახარია და თამარ დვალიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს.

წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, დიანა გახარიას განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ისში“ (ს. ალვანი) „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 1 ივლისს. კოლეჯს პროგრამაზე მოთხოვნილი აქვს 70 პროფესიული სტუდენტის ადგილი. კოლეჯს არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება გაფორმებული პრაქტიკის მიზნებისათვის

წარმოდგინა საბჭოს ვიზიტის ფარგლებში გადაღებული შესაბამისი ფოტომასალა, სადაც ნაჩვენებია ყველა ის გარემო, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი.

აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულებულია. არის რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინების პროცესშია, ვინაიდან მაგალითად რეკომენდებული იყო ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პირების დატრენინგება მომხდარიყო. დაწესებულებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვს ივლის-აგვისტოში, საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარებულია და შესაბამისი ტრენინგები კიდევ იგეგმება სამინისტროს მიერ.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

2.3.1 (1ლი და ნაწილობრივ მე2 ინდიკატორები)

„ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტის დეტალური შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ დოკუმენტი გაწერილი ეტაპების მიხედვით საჭიროებს გადახედვას/გადაწყობას შინაარსობრივ ნაწილში (მოხდეს ეტაპებს შორის საკითხების აზრობრივად გადაწყობა ეტაპების

დასახელებასთან შინაარსით ყველაზე მჭიდრო კავშირების მიხედვით). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განახლების მიზნით დაწესებულებას ესაჭიროება ხედვის ჩამოყალიბება თუ რას მოიაზრებს ხარისხის მართვის საქმიანობის ქვეშ: რას ემსახურება დაგეგმვის, განხორციელების,

შემოწმებისა და განვითარების ეტაპები. ასევე მოხდეს კითხვარების დოკუმენტთან ან განცალკევებით დამტკიცება, დოკუმენტში მოცემული შეფასების/შემოწმების კრიტერიუმების ფორმის შემუშავება ან მათთვის ჩამონათვალის სახის მიცემა შემდგომში ფორმირებისთვის. აუცილებელია დოკუმენტის სტილისტურად გამართვა. ზემოაღნიშნულის საფუძვლიანი გააზრებით საჭიროა შემუშავდეს დოკუმენტი, რომელიც შეასრულებს სახელმძღვანელოს როლს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი სხვა პირებისთვის. თუმცა კოლეჯს აღნიშნული მიმართულებით შესაბამისობის გეგმა არ წარმოდგენია, გასაუბრებისა და ვიზიტის შეჯამების დროს, დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გამოითქვა დოკუმენტის, შესაბამისი თანამშრომლების ჩართულობით, გადამუშავების სრული მზაობა, რაც ექსპერტების შეფასებით შესაძლებელია განხორციელდეს 6 თვემდე ვადაში. შესაბამისად, მითითებული ინდიკატორ/ებ/ი შეფასდა სტანდარტის მოთხოვნებთან მეტწილ შესაბამისობის სახით.

გაუმჯობესების რეკომენდაცია

2.1.1 (მე3 ინდიკატორი)

ექსპერტების შეფასებით, სასწავლო გარემოს დათვალიერების და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი პროგრამისთვის პროფესიული სტუდენტების ზღვრულ ოდენობას რეალურად განსაზღვრავს გონივრულად, არსებული რესურსების გათვალისწინებით. თუმცა, გავრცელებული მიდგომის მკაფიოდ აღსაწერად საჭიროა მეთოდოლოგიის დოკუმენტის დახვეწა. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ დასაზუსტებელია პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა ასპექტებიდან საკვანძო და პრაქტიკულად გამოყენებული კრიტერიუმების გამოკვეთის მექანიზმი და რომ დაწესებულების საერთო კვოტა არ საჭიროებს ცალკე დაანგარიშებას, ვინაიდან ის წარმოადგენს განხორციელებად პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობების ჯამს.

2.2.1 (მე2 ინდიკატორი)

განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით უმჯობესია შემუშავდეს ერთგვაროვანი მიდგომა: ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება (ამ ეტაპზე ნაწილ შემთხვევაში ხელშეკრულებაშია მითითებული, ნაწილი კი დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული), დაემატოს პუნქტი შრომის კოდექსით გათვალისწინებული შვებულების საკითხის დაფარვის მიზნით (მოიცავს შინაგანაწესი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს), მიეთითოს შრომის კოდექსით დარეგულირებული სამუშაო საათების მაქსიმალური დატვირთვა და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმსაზღვრელ პუნქტს სასურველია დაემატოს ჩანაწერი „პროგრამის ავტორიზების შემთხვევაში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახედილი იქნეს „სამუშაოს შეთავსების შესახებ“ ბრძანების საჭიროება.

2.4.2 (1ლი ინდიკატორი)- აუცილებელია განმახორციელებლებს განესაზღვროთ პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების უწყისში დაფიქსირების ვადა, მომდევნო პროცესებისთვის განსაზღვრული ვადების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, დაზუსტდეს სტუდენტის მიერ შეფასებაზე გამოცხადებით გამოცდის ჩატარების წესების ცოდნის დადასტურების საკითხი ვის მიერ და როდის ხდება პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების ინსტრუმენტის გაცნობა და შემდეგ შედეგების გაცნობა. გასაუბრებისას აღნიშნეს განმახორციელებლებმა რომ სტუდენტებს რამდენიმეჯერ ეცნობებათ პროფესიული მასწავლებლებისაგან განმეორებითი შეფასების შესახებ, პირველად კელენდარული გეგმის გაცნობისთავე.

უმჯობესია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 29ე მუხლის 29.1. პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტებისთვის შედეგების გაცნობის ალტერნატიული ფორმის შესახებ შეფასების ინსტრუმენტის ფორმას დაემატოს შესაბამისი ინფორმაციის ასახვის ველი.

2.4.2 (მე2 ინდიკატორი)- ვერიფიკაციის ჯგუფის სავარაუდო შემადგენლობაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აღნიშნული ფუნქცია ასევე განსაზღვრული აქვს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შეთანხმების წერილით, ამავე შეთანხმების ფარგლებში ხელმძღვანელს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. აქედან გამომდინარე, საჭიროა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N020153 ბრძანებით დამტკიცებული „შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია“ ითვალისწინებდეს ჩანაწერს პროგრამის ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/იმ შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.

2.4.2 (მე4 ინდიკატორი) - სასურველია რაიმე რეგულაცია მოიცავდეს ჩანაწერს განმავითარებელი შეფასების ჩატარების აუცილებლობის შესახებ და მასწავლებლის ფუნქციების ჩამონათვალის „პროფესიულ სტუდენტების შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად“ სწავლებასთან ერთად მიეთითოს მათი შეფასების ვალდებულება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით.

თავმჯდომარე დარგის ექსპერტის მოსაზრებით დაინტერესდა.

თამარ დვალიშვილის აზრით, პროგრამა რესურსებით აბსოლუტურად უზრუნველყოფილია. კარგი შთაბეჭდილება დარჩა პრაქტიკის ხელმძღვანელზე, ის არის სასწავლო რესურსის ავტორი. არის ხელსაწყო შემქმნელი, რომელიც თექის წარმადობის გაზრდისთვისაა შექმნილი. კოლეჯი ახორციელებდა პროგრამის ანალოგიურ საგნობრივ და შემდეგ უკვე მოდულურ პროგრამებს და შესაბამისად აქვთ გამოცდილება და საჭირო მატერიალური რესურსიც.

საბჭო ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს ყველა კომპონენტთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ არაა საჭირო მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „თექის დამზადების“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „აისის“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თექის დამზადების“ საგანმანათლებლო პროგრამა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ალვანში **(დანართი 11)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

12. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „კერამიკული ნაკეთობის დამზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის (ს. ალვანი) დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: დიანა გახარია და მუხრან გაფრინდაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს.

წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, დიანა გახარია განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „აისში“ (ს. ალვანი) კერამიკული ნაკეთობის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

დიანა გახარიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 3 ივლისს.

კოლეჯს არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება გაფორმებული პრაქტიკის მიზნებისათვის, ვინაიდან ადგილზე აქვს საჭირო მატერიალური რესურსი და გარემო. შენიშნა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა და ამ შემთხვევაშიც იგივე რეკომენდაციებია გაცემული, რაც წინა საკითხთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე დარგის ექსპერტის მოსაზრებით დაინტერესდა.

მუხრან გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის უძველესი დარგი. კერამიკის აღორძინება, მით უფრო კახეთისთვის, არის კულტურა. მატერიალური რესურსის ნაწილი ჯერ არ იყო ვიზიტის დრო შესყიდული. ეს რესურსი გაუმჯობესებას და გაძლიერების მიზანს ემსახურება. დაადასტურა, რომ ვიზიტის დროს წარმოდგენილი, ადგილზე არსებული რესურსით სწავლის შედეგების მიღწევა სრულყოფილად შესაძლებელია. ისწავლიან ხაზვას, კერამიკის დამუშავებას და ა.შ. სტუდენტებს ასწავლის კვალიფიციური განმახორციელებელი.

საბჭო ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს ყველა კომპონენტთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ არაა საჭირო მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „კერამიკული ნაკეთობის დამზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის (ს. ალვანი) დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კერამიკული ნაკეთობის დამზადების“ საგანმანათლებლო პროგრამა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ალვანში (დანართი 12) გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

13. სსიპ - კოლეჯი „აისსისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის და მატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: დიანა გახარია და ხათუნა მაისაია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, დიანა გახარიას განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „აისში“ (ს. ალვანი) განხორციელებული ვიზიტის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

პროგრამას თეორიულ კომპონენტში ჰყავს 2 განმახორციელებელი პირი თითოეული მიმართულებისთვის, ხოლო პრაქტიკული ნაწილისთვის მოიაზრებიან ინსტრუქტორები, რომლებიც ამ ეტაპზე არ არიან შერჩეული კონკრეტული პირები, თუმცა პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს საჭირო მოთხოვნების შესაბამისად მათ შერჩევას, სხვადასხვა განყოფილებების მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში თეორიული კომპონენტის განსახორციელებლად ჩართულ მხოლოდ ერთ პირთან განხორციელდა შეხვედრა, ასევე მოხდა სხვების პირადი საქმეების გადამოწმება, ისინი არიან კვალიფიკაციით ექიმები, კონკრეტულად მიკრობიოლოგიის მოდულისთვის არის შერჩეული პროფესიით ბიოლოგი პირი, შენიშნა, რომ შორის მოქმედი ექიმებიცაა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, მხოლოდ ერთ პირთან რატომ მოხდა გასაუბრება, ხომ არ დგება მათი კვალიფიკაცია ექვ ქვეშ.

დიანა გახარიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვერ შეძლო ყველა პირთან გასაუბრების ორგანიზება, კოლეჯის მიერ თეორიული სწავლების კუთხით შერჩეული პირების პირადი საქმეები შეისწავლეს და არ დაფიქსირებულა ხარვეზი. მათ ქონდათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების გამოცდილება, თუმცა არა სპეციფიკური ცოდნა მოდულურ პროგრამასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს არ არის წამყვანი დარგის პროგრამა კოლეჯისთვის, საკითხი დგება ამ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის თუ არა პროგრამის განხორციელება მიზანშეწონილი. არიან თუ არა თუნდაც თეორიული სწავლებისთვის მზად.

თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ, სავარაუდოდ, პარტნიორ კლინიკას არ სჭირდება ამდენი კადრი, სად დასაქმდებიან კურსდამთავრებულები, არის თუ არა ამდენი მოთხოვნა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, პრაქტიკის ობიექტი კლინიკა თვითონაა დაინტერესებული, რომ დაასაქმოს ამ პროგრამით მომზადებული კადრები. თუნდაც ჩაანაცვლოს არსებული კადრები ახალგაზრდა კადრებით, კოლეჯის კურსდამთავრებულებით.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, არის თუ არა კოლეჯის კლინიკური პრაქტიკის ობიექტზე თელავში ყველა მიმართულების დაფარვა შესაძლებელი: ქირურგა, თერაპია, რენიმიაცია, პედიატრია, მეანობა, გინეკოლოგია, ემერჯენსი ქირურგია, პედიატრია, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ექსპერტებს სთხოვა დაედასტურებინათ, რომ ყველა განყოფილებაა წარმოდგენილი კლინიკაში.

თავმჯდომარე დაინტერესდა, უზრუნველყოფს თუ ვერა ეს პრაქტიკის ობიექტი ფსიქიატრიის მოდულს.

დიანა გახარამ და დარგის ექსპერტმა აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებით ეს მიმართულებაც უნდა უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტმა და მათთან გასაუბრებით დადგინდა მზაობა და მიაჩნიათ, რომ პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ ეპარება, თუმცა რამდენად აქვს ამ დაწესებულებას ყველა მიმართულებისთვის საჭირო განყოფილება ესაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ფსიქიატრიის მიმართულებით მოდულის განსახორციელებლად შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციის მოძებნა არის ამ პროგრამაში მთავარი გამოწვევა. ამდენად, დაინტერესდა, სად მიიღწევა ამ მოდულის შედეგები, აქვს თუ არა ეს მიმართულება პარტნიორ ორგანიზაციას და ზოგადად შენიშნა, რომ მკაფიო წარმოდგენა ვერ შეექმნა პირადად მას რამდენად აქვს ამ პარტნიორ ორგანიზაციას ყველა მოდულის შედეგების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

მარიამ ჩაგელიშვილმა შენიშნა, რომ, როგორც მან მოიძია, ამ კლინიკას არ აქვს ფსიქიატრიის მიმართულება. კოლეჯი თანამშრომლობს მხოლოდ ამ კლინიკასთან და ამ კლინიკას არ აქვს ფსიქიატრიის მიმართულება. თუმცა, დასკვნაში მაინც სრულ შესაბამისობადაა შეფასებული, ითხოვა განმარტება ექსპერტებისგან.

დარგის ექსპერტმა ხათუნა მასიაიამ აღნიშნა, კლინიკას ფსიქიატრიის მიმართულება არ აქვს, მაგრამ აქვს ნევროპათოლოგიის მიმართულება. მათ ჰყავთ ნევროპათოლოგი და შეუძლიათ ეს სწავლის შედეგები ასწავლონ კლინიკა ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას ფსიქიატრიული მოდულის განხორციელებაზე.

მარიამ ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა პრეზენტაცია დასაწყისში იყო დეტალური, მკაფიო და პროფესიონალური, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ეს შეფასება არაა კვალიფიციური და პირადად მისთვის წინა სხვა შეფასებებზეც წარმოდგენას უკარგავს.

შორენა ჯაფარიძემ შენიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები საინტერესოა და განვითარებაზე ორიენტირებული, ხაზი გაუსვა ერთ რეკომენდაციას, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროფესიულ განათლებაში რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა მას, თუმცა რეალურად ხარისხის უზრუნველსაყოფად ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

კახაბერ ერაძემ „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრიაში“ მოდულიდან სწავლის შედეგები ამოიკითხა.

საბჭომ შეუძლებლად მიიჩნია ამ განყოფილებაში ამ მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა. ნევროპათოლოგია არ „უდრის“ ფსიქიატრიას, შეუძლებელია მათი გაიგივება.

საბჭომ სიტყვა გადასცა დაწესებულების დირექტორს და მოსაზრების დაფიქსირება სთხოვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

კოლეჯის დირექტორმა შენიშნა, რომ ამ მიმართულებით მსგავსი შინაარსის პროგრამების განხორციელების გამოცდილება კოლეჯს აქვს, თუმცა ამ ფილიალში ჯერ არაა. ჩართული განმახორციელებელი კლინიკა ყველაზე მძლავრი კლინიკაა კახეთის რეგიონში, აქვს რამდენიმე შენობა და თითქმის ყველა მიმართულება, გარდა ფსიქიატრიისა. კლინიკა იღებს პასუხისმგებლობას განხორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ფსიქიატრიის მიმართულებით, და ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით პრობლემა არ შეიქმნება და პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შედეგზე გაიყვანენ. აქვე შენიშნა, რომ კლინიკა კიდევ გეგმავს გაფართოებას, ახალი შენობის აშენებას და კადრებზე მოთხოვნა ნამდვილად არის და დასაქმების კარგი შესაძლებლობაა. აქვე შენიშნა, რომ პროგრამის პროფესიულ მასწავლებლებს სწავლების კუთხით, მოდულურ სწავლებაში გამოცდილება აქვთ, შესაბამისად ფიქრობს, რომ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით პრობლემა არ იქნება. აქვე დასძინა, რომ წინა ვიზიტის დროს დაფიქსირებული რეკომენდაციები უკვე პრაქტიკულად სრულად შესრულებულია.

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს დააკლდა სიცხადე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საკითხი დამატებით შეისწავლოს ცენტრმა.

საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ვინაიდან ეს ეხება რეგულირებად პროფესიას, შეისწავლოს პრაქტიკის ობიექტების რელევანტურობის საკითხი პროგრამის კლინიკური პრაქტიკის კომპონენტების სრულფასოვნად განხორციელებისთვის. შენიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საბჭოს მინიჭებული აქვს დამატებითი მოკვლევის შესაძლებლობა. მიმართა ცენტრს, ცენტრმა გამოითხოვოს ინფორმაცია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოდან. საკითხის განხილვა გადაიდო ცენტრის მხრიდან, ექსპერტის ჩართულობის გარეშე, შესაბამისი მოკვლევის წარმოდგენამდე.

14. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „თექის დამზადების“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: თამარ რემიშვილი და თამარ დვალიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ რემიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „აისში“ განხორციელებული ვიზიტის „თექის დამზადების“ (ს. დედოფლისწყარო)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

შენიშნა, რომ კოლეჯი ახორციელებდა „თექის ოსტატის“ საგნობრივ პროგრამას და დასაქმების მაჩვენებელი დაახლოებით 36%-ის, აქედან უმეტესი ნაწილი თვითდასაქმებულია, ვინაიდან კახეთი ტურისტული ზონაა, ამდენად მოთხოვნადი პროგრამაა.

ამჯერად კოლეჯს სურს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება. აღნიშნა, რომ ეს რაოდენობა შეესაბამება კოლეჯის მეთოდოლოგიას, ერთ ცვლაში 15 სტუდენტის მიღებით.

2.2 და 2.4 ინდიკატორებზე დაფიქსირდა მეტწილი შესაბამისობა, მათ მიერ გაიცა რეკომენდაციები მსგავსად წინა საკიხების განხილვისას დაფიქსირებული რეკომენდაციების მსგავსად, რაზეც ყურადღება აღარ გაამახვილა.

აქვე შენიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი ადგილზევე გაითვალისწინეს, მაგალითად ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული არსებითი პირობა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და ადგილზევე გასწორდა ხელშეკრულებები რეკომენდაციის საფუძველზე.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ინსტიტუციური სტანდარტის დარღვევას. მადლობა გადაუხადა ექსპერტს. მან სთხოვა კოლეჯს განემარტათ, მაშინ, როცა წლების მანძილზე ცენტრი აკეთებდა აქცენტს შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებზე და ამის გამო ბევრ კოლეჯს ავტორიზაციაზე ეთქვა უარი საბჭოს მიერ, კოლეჯმა რატომ ვერ მოახერხა, რომ სამი წლის თავზე მსგავსი ხარვეზი არ დაფიქსირებულიყო.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ მუხლი ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან დაკავშირებით არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, რომ „ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება განხორციელდება მხარეთა შეთანხმებით“. ამ ჩანაწერში ბუნდოვანება რომ არის, ამას ეთანხმება, თუმცა შენიშნა, რომ არ დამდგარა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების საჭიროება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში გაფორმდებოდა დამატებითი შეთანხმების წერილი. შენიშნა, რომ ამ ეტაპზე ყველა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის თანახმად წინასწარ უნდა იყოს მითითებული, რა ფორმით ანაზღაურდება გაწეული შრომა. ამის შესახებ წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული დასაქმებული.

დარგის ექსპერტმა, თამარ დვალიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში მითითებული თერმოპრესი და საყოფაცხოვრებო საშრობი ადგილზე არ იყო. დაწესებულებას შესყიდვა დაწყებული ჰქონდა, თუმცა, ჯერ არ იყო აღნიშნული ნივთები მიწოდებული თბილისიდან. მან ასევე შენიშნა, რომ სწავლის შედეგების მიღწევას ეს ხელს არ უშლის, ვინაიდან ადგილზე იყო მატერიალური რესურსი, რომლითაც შეიძლება ეს რესურსები ჩანაცვლდეს და შესაბამისად ეს შედეგები მიიღწევა. მან დაამატა, რომ ადგილზე ნახეს წინა პროგრამის ფარგლებში შესრულებული ნამუშევრები და ასევე, კვალიფიციური პერსონალი, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში.

კახაბერ ერაძემ იკითხა, ამ ორი მატერიალური რესურსის გარეშე, არის თუ არა სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელი და თუ ასეა, ჩარჩო დოკუმენტის მინიმალური აღჭურვილობის ჩამონათვალიდან ხომ არაა ამოსაღები, ვინაიდან ეს ფინანსურ საკითხებს უკავშირდება.

დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ ეს დასახელებები არის განახლებული, გათანამედროვეებული რესურსები და შეიძლება ამ რესურსის გარეშე მიიღწეს ეს შედეგები, ამდენად, შესაძლებელია ამოღებულ იქნეს მინიმალური რესურსების ჩამონათვალიდან. კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში რეკომენდებულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი მინიმალური აღჭურვილობის ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს თერმო პრესი და საყოფაცხოვრებო საშრობი. საბჭომ გაიზიარა ეს მოსაზრება. ამდენად, ამ ნაწილში 2.2. კომპონენტის მეტწილი შესაბამისობა შეცვალა სრული შესაბამისობით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა საბჭოს წარმოუდგინეს კოლეჯის გარემოს ფოტოსურათები, შენიხეს, რომ ადგილზე ნახეს უკვე ანალოგიური წინა პროგრამის ფარგლებში შემუშავებული მზა ნამუშევრებიც, რომლითაც ნათლად შეექმნა საბჭოს წარმოდგენა, რომ სამუშაო პროცესის წარმართვა შესაძლებელია.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, რამდენად დაცულია უსაფრთხოების ზომები ამ გარემოში. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ უსაფრთხოების ნორმები დაცულია სრულად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „თექის დამზადების“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „აისის“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თექის დამზადების“ საგანმანათლებლო პროგრამა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამრეკლოში (**დანართი 13**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

15. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმე“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: თამარ რემიშვილი და ხათუნა მაისაია

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის

წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ რემიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ასში“ განხორციელდა ვიზიტი „საექთნო საქმე“ (ს. დედოფლისწყარო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ყურადღება გაემახვილებინა იმ საკითხებზე და რეკომენდაციებზე, რაც არ დაფიქსირებულა ამავე დაწესებულებისთვის წინა საკითხის განხილვის დროს.

თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა შინაარსობრივად სოფელ ალვანში არსებული პროგრამის ანალოგიურია. იგივე რეკომენდაციებია გაცემული, რაც წინა საკითხთან დაკავშირებით.

ვიზიტი განხორციელდა 1 ივლისს. პროგრამაზე მოთხოვნილია 28 პროფესიული სტუდენტი. ერთ მიღებაზე 14 სტუდენტი. მეორე ჯგუფი მიიღება წელიწადნახევრის შემდეგ.

წარმოდგენილია ექთნის პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევა, რომლის თანახმად 66% დასაქმებულია, შესაბამისად პროგრამა მოთხოვნადია.

პროგრამის განხორციელების რესურსი სრული შესაბამისობაა დაფიქსირებული. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოდული „ავადმყოფის მოვლა“ ხორციელდება კოლეჯის C გარემოში. არის მოდულით გათვალისწინებული საჭირო მატერიალური რესურსი. პრაქტიკა ხორციელდება რეგიონალურ ჯანდაცვის ცენტრში. დარგის ექსპერტმა ასევე შენიშნა, რომ „პრაქტიკოს ექთნის“ ძველი პროგრამა ამავე პრაქტიკოს ობიექტთან ხორციელდებოდა.

ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება პრაქტიკოს ობიექტის წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ თეორიული ნაწილი პროგრამის საწყის ეტაპზე მიმინდარეობს კოლეჯში წელიწადნახევრის მანძილზე, ხოლო პრაქტიკული ნაწილი იწყება ამის ვადია შემდეგ. ექთნებთან წაყენებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ანალოგიური პირობები აქვს თვითონ ამ კლინიკას დაკუთარი თანამშრომლების მიმართ წაყენებული.

ვიზიტის დროს მოდულებში მითითებული 2 ლიტერატურა ვიზიტის დროს არ იყო ადგილზე წარმოდგენილი ვინაიდან ვერ მოხერხდა ვიზიტამდე კაჭრეთიდან ამ ლიტერატურის მიწოდება.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რადგან საექთნო განათლება რეგულირებადია, როგორ დარწმუნდა ექსპერტთა ჯგუფი, რომ მოდულების განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება პრაქტიკოს ობიექტზე.

თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივ მოდულებზე პასუხისმგებელია ორი განმახორციელებელი. ექსპერტების მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები. ამ პირებს აქვთ ექიმის კვალიფიკაცია და ექიმად მუშაობის გამოცდილება.

საბჭოს წევრებმა ამოიკითხეს თეორიული მიმართულების მოდულების დასახელებები და დაინტერესდნენ, ეს 2 განმახორციელებელი პირი რამდენად ფარავს ერთდროულად ამდენ მიმართულებას. დარგის ექსპერტმა დაუდასტურა, რომ განმახორციელებელ პირებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და ყველა მოდული იფარება მათ მიერ. გარდა ამისა, მან შენიშნა, რომ განმახორციელებელი 2 პირი კვალიფიკაციით ექიმია და ასევე, განხორციელებაში ჩართულია 2 ექთანი, რომელიც აგეთვე ჩართულია თეორიული მოდულების განხორციელებაში. ვინაიდან,

მაგალითად, დოზირების პრინციპებს, ტერმინოლოგიას, ინფექციის კონტროლს, რომელსაც ფიზიკურად ვერ წაიკითხავს ექიმი, კითხულობს ექთანი. ექთნები იყვნენ ჩართული წინა მოდულური პროგრამის განხორციელებაში და რეალურად მათ აქვთ მოდულური პროგრამის განხორციელების პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კლინიკური პრაქტიკის განხორციელებისას რამდენად დაიფარება ყველა მოდული.

ხათუნა მაისაიამ აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტზე მოხდა გასაუბრება ინსტრუქტორებთან, რომლებიც დეტალურად იცნობენ პროგრამას და იციან, რა უნდა გააკეთონ. ასევე, მან შენიშნა, რომ მას არ აქვს უფლება და არ მიაჩნია სწორად, რომ სთხოვოს პრაქტიკის ობიექტს კონკრეტული განყოფილების ჩვენება. მისთვის მნიშვნელოვანია, მიიღოს დადებითი პასუხი კითხვაზე: ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოდულების დაფარვა შეუძლიათ თუ არა და თუ შეუძლიათ სტუდენტები გაიყვანონ შედეგზე.

ნინო კაკულიამ აღნიშნა, რომ სიტყვის საფუძველზე, უპირობოდ არ უნდა დავუჯეროთ პარტნიორ ორგანიზაციას, ხიბლის მდგომარეობის გამო თვალი არ უნდა დავხუჭოთ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რაც არ უნდა კარგად წარიმართოს ინტერვიუ, როდესაც კლინიკის ვებ გვერდზე არ ფიქსირდება აქვს თუ არა ამ მიმართულების განყოფილება კლინიკას, ლოგიკურია ვერ დავეთანხმებით ინტერვიუს შედეგებს, რომ თერაპიულ განყოფილებაში მიიღწევა გინეკოლოგიური პრაქტიკის შედეგები.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ კლინიკა იღებს პასუხისმგებლობას გაატაროს პრაქტიკა და ფიქრობს ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს კიდევ. მან ასევე შენიშნა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს დამატებითი ინფორმაციის მოწოდებას ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ ამის საშუალება საბჭოს მიერ კოლეჯს მიეცემა.

შორენა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ საექთნო განათლების პროგრამა პრინციპულად განსხვავდება ექთნის თანაშემწის პროგრამისაგან, ახალი პროგრამის მიხედვით პრაქტიკული კომპონენტი პრაქტიკის ობიექტზე უნდა იქნეს მიღწეული, ფაქტობრივად დუალური პროგრამის მსგავსად რეალურ პირობებში უნდა განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტი. სწორედ ამიტომ ექცევა საბჭოს მიერ ამას ასეთი ყურადღება.

საბჭომ მიმართა შუამდგომლობით ცენტრს, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ვინაიდან ეს ეხება რეგულირებად პროფესიას, შეისწავლოს პრაქტიკის ობიექტების რელევანტურობის საკითხი პროგრამის კლინიკური პრაქტიკის კომპონენტების სრულფასოვნად განხორციელებისთვის. შენიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საბჭოს მინიჭებული აქვს დამატებითი მოკვლევის შესაძლებლობა. მიმართა ცენტრს, ცენტრმა გამოითხოვოს ინფორმაცია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოდან. საკითხის განხილვა გადაიდო ცენტრის მხრიდან, ექსპერტის ჩართულობის გარეშე, შესაბამისი მოკვლევის წარმოდგენამდე.

16.სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: რუსუდან თედორაძე და თამარ ახალაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, რუსუდან თედორაძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „აისში“ განხორციელებული ვიზიტის „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/წ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა 2 ივლისს. მოთხოვნილ სტუდენტთა რაოდენობაა 30 სტუდენტი. დასკვნაში დაფიქსირდა 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტების შეფასება მეტწილად.

დასკვნაში დაფიქსირებულია შესაბამისობის რეკომენდაციები, რომელზეც უკვე მოხდა სხვა საკითხების დროს განხილვა. ყურადღება გაამახვილა განვითარების რეკომენდაციებზე:

სასწავლო პროგრამის ერთი მოდული „სადურგლო საქმე სოფლის მეურნეობაში“ სარეკომენდაციო ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოს არც ბეჭდური და არც ელექტრონული ვერსია ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა. როგორც ბიბლიოთეკის გამგემ განმარტა ეს სახელმძღვანელო გატანილი ჰქონდა საგნის პედაგოგს, (რაც გაფორმებული იყო შესაბამისი საბიბლიოთეკო წესით), თუმცა ადგილზე იყო სხვა ალტერნატიული სახელმძღვანელო, რომლითაც შესაძლებელია სწავლის შედეგის მიღწევა. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მიცა რეკომენდაცია: იმისათვის, რომ მოდულში მითითებული სასწავლო რესურსი ფართოდ ხელმისაწვდომი იყოს, ბიბლიოთეკაში იქონიონ სახელმძღვანელოს ქსერო ასლი ან დასკანერებული პდფ-ფაილი.

აღნიშნა, რომ პროგრამის მატერიალური რესურსი იმაზე მეტია, ვიდრე მოთხოვნილ რაოდენობას სჭირდება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია განმახორციელებელი ორი პირი, რომლებიც თვითოვე არიან მეწარმეები. ამდენად, კოლეჯს აქვს საშუალება ადგილზევე განახორციელოს პრაქტიკა და შესაბამისად არ იყო პრაქტიკის მიზნით ხელშეკურობების გაფორმების საჭიროება.

შორანამ ჯაფარიძემ იკითხა, რატომაა მონიშნული 2.2 ზე მეტწილი შესაბამისობა.

ამ ნაწილში ექსპერტთა შეფასებას არ ეთანხმება საბჭო, გარკვეულწილად ეს არის ექსპერტთა ზედმეტის სიფრთხილის შედეგი.

რუსუდან თედორაძემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში არაა ქსეროქსის აპარატი. ამიტომ დაფიქსირდა მეტწილი შესაბამისობა.

თამარ ახალაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯს აქვს გაცნობილი პრაქტიკა არჩევით მოდულად. კოლეჯის პედაგოგს აქვს საკუთარი საფუტკრე მეურნეობა 100-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი. A-C გარემოში ყველა აღჭურვილობაა, ინვენტარი. პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა რომ აქვთ პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაშიც ჩართული იყვნენ. ასევე მათი პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა მათი კომპეტენცია.

მარიამ ჩაგელიშვილი დაინტერესდა, დასკვნაში წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციაზე ტრენინგი ინტეგრირებულ მოდულების განამახორციელებლებისთვის ტრენინგის თაობაზე მითითებულია, რომ არის მიმდინარე. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ტრენინგი ცენტრალიზებულად იქნა ორგანიზებული სამინისტროს მიერ და კიდევ იგეგმება. კონკრეტულად ამ პროგრამაზე აღნიშნა, რომ კოლეჯი წარმატებით ახორციელებს მეფუტკრეობის პროგრამას წლების მანძილზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2.2 კომპონენტზე საბჭომ სრული შესაბამისობით შეცვალა შეფასება. საბჭოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ჩაინიშნოს მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში **(დანართი 14)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

17.სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის და მატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: რუსუდან თედორაძე და ვალერი ჯაჯანიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, რუსუდან თედორაძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „აისში“ ვიზიტი განხორციელდა „სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტთა დასკვნაში ყველა ქვესტანდარტში მონიშნულია მეტწილი შესაბამისობა.

წარმოადგინა გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.1.1. ინდიკატორი 4 - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსი, მეტწილად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დაახლოებით 50% პროგრამის განაცხადის მიხედვით, არის კოლეჯის საკუთრებაში. ხოლო დარჩენილი მატერიალური რესურსის მოძიებას კოლეჯი აპირებს შესყიდვის გზით, რაც დასტურდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 მაისის #02-01-110 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების შესაბამისობის გეგმით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, ზოგიერთი მოდული მაგ. ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები სასწავლო რესურსის გარეშეა წარმოდგენილი, ხოლო საერთო პროფესიული, პროფესიული და კონცენტრაციის მოდულების სასწავლო რესურსი უმეტესად მოძველებულია ან არ შეესაბამება თემატიკას, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია არსებული უცხოენოვანი ლიტერატურის ბაზაზე შეიქმნას სალექციო კონსპექტი, რაც პროფესიულ სტუდენტისთვის ხელმისაწვდომს გახდის თანამედროვე ლიტერატურას, რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.

ინდიკატორი 7 - პროგრამის სახელწოდება მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, იმდენად რამდენადაც სავალი ნაწილი გააჩნია დედამიწის ხმელეთზე და ზღვაზე მოძრავ ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებას, პროგრამის მსგავსი დასახელება გაურკვეველია რა მიმართულებით განხორციელდება მომზადება, იქნება ეს ავტოსატრანსპორტო საშუალება, რკინიგზა, ურიკა, სატვირთო თუ მსუბუქი ავტომობილი და ა.შ., მაშინ როდესაც პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და მისაღწევი სწავლის შედეგები გულისხმობს მსუბუქი ავტომობილის სერვისის სპეციალისტის მომზადებას პროგრამის მსგავსი დასახელება შეცდომაში შემყვანია. აღნიშნულის თაობაზე დაწესებულების მხრიდან იქნა გაკეთებული განმარტება, რომ მათ იხელმძღვანელებს ჩარჩო დოკუმენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისი 07119-3 ერთ-ერთი კონცენტრაციის სახელწოდების „სავალი ნაწილის შეკეთება“ მიხედვით, იმდენად რამდენადაც აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში აღნიშნული კონცენტრაცია კიდევ 2 კონცენტრაციასთან ერთად მოქცეულია ერთი ქუდის ქვეშ „მსუბუქი ავტომობილის შეკეთება“ და აღნიშნული მიმართულების განშტოებაა ჩარჩო დოკუმენტში კონცენტრაციის მსგავსი ფორმულირება არაა შეცდომაში შემყვანი, ხოლო ერთეულად წარმოდგენილი პროგრამის მსგავსი დასახელებით გამოტანა რეალურად შეცდომაში შემყვანია, იმდენად რამდენადაც არაა დაკონკრეტებული რა სახეობის ტანსპორტის სავალ ნაწილზეა საუბარი, სასურველია პროგრამას დაერქვას სახელწოდება: „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, რაც პასუხობს პროგრამის შინაარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.

2.2.1 ინდიკატორი 2- პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავთ მხოლოდ ორი განმახორციელებელი, ვიზიტის დროს განმახორციელებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ორი პროფესიული მასწავლებლიდან ერთი- შეძლებს მხოლოდ

ე.წ. თეორიული პროფესიული მოდულების სწავლების განხორციელებას, ხოლო პრაქტიკულ მოდულებს (და შესაბამისად ე.წ. თეორიულსაც) გაუძღვება მეორე მასწავლებელი, იმდენად, რამდენადაც პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შეუძლია მხოლოდ ერთ პროფესიულ მასწავლებელს, ჩნდება კითხვები რა სახით მოხდება აღნიშნული პიროვნების ჩანაცვლება მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის (როგორცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, საავადმყოფო ფურცლის გამოყენება) და სხვა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ღონისძიების შემთხვევაში. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირის ჩამნაცვლებლის მოძიება. რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.

განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია მიმართულება/პროგრამის სახელწოდება, მაგრამ არა კონკრეტული მოდულები, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია „ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით“. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებში ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება, რომელსაც წაიკითხავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ.

ინდიკატორი 3- „მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულის“ - ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოების განმახორციელებლად წარმოდგენილია ინგლისური ენის პროფესიული მასწავლებელი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების: ტექნიკური აბრევიატურებისა და სიმბოლოების განსხვავება; ბლოკ-სქემებისა და პრინციპული სქემების წაკითხვა-ანალიზი; ბლოკებსა და მიკროსქემებზე აბრევიატურებისა და სიმბოლოების ამოკითხვა-განალიზება; ტექნიკურ ლიტერატურაში მოცემული მასალების გააზრება, მხოლოდ ინგლისური ენის პედაგოგის კომპეტენციით შეუძლებელია. რეკომენდებულია მოხდეს აღნიშნულ მოდულზე განმახორციელებლების დამატება და დაემატოს პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი. რადგან დაწესებულების მხრიდან გამოითქვა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზაობა სწავლის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.

2.4.2 ინდიკატორზე დაფიქსირდა 2 იგივე რეკომენდაცია, რაც გაჟღერებულ იქნა წინა საკითხების განხილვისას.

ექსპერტებმა წარმოადგინეს ვიზიტის დროს გადაღებული, პროგრამის შესაბამისი გარემოს ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დარგის ექსპერტის მოსაზრებით.

ვალერი ჯაჯანიძემ აღნიშნა, რომ ძირითადი რეკომენდაცია ვიზიტის დროს იყო სასწავლო ლიტერატურაზე, რომელიც ფაქტობრივად მოძველებულია. როგორც მისთვის ცნობილია დაწესებულებამ უკვე მოიდა განახლებული ნაწილი სასწავლო რესურსებისა.

აქვე დაამატა, რომ კოლეჯს ჰყავს საკუთარი ავტომობილები, რომელზეც განხორციელება სწავლება საკუთარ გარემოში. მატერიალური რესურსის ნაწილი ვიზიტის დროს ჯერ შესყიდული არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა კოლეჯის დირექტორს. მან აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. საწავლო რესურსებს დაემატა თანამედროვე რესურსები.

აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება დაზუსტდა რეკომენდაციის შესაბამისად და უკვე შევიდა ცვლილება შესაბამის ბრძანებაში.

ექსპერტთა რეკომენდაციას ადამიანური რასურსთან დაკავშირებით კოლეჯი იზიარებს და გამოცხადებულია შესაბამისი ვაკანსია. ასევე გაზიარებული იქნა რეკომენდაცია დარგობრივი უცხო ენის მოდულთან დაკავშირებით და ინგლისური ენის მასწავლებელთან ერთად თანაგანმახორციელებლად ჩართული იქნება დარგის კომპეტენციის მქონე პირი.

მატერიალურ რესურსის ჩამონათვალიდან, რომელიც არ იყო ვიზიტზე, კოლეჯმა შეიძინა კომპიუტერული სადიაგნოსტიკო მოწყობილობა და კიდევ რამდენიმე სხვა აღჭურვილობა, კოლეჯს აქვს შესაბამისი სახსრები მობილიზებული და ყველაფრის შესყიდვა დასრულდება სწავლის დაწყებამდე, სექტემბრის ბოლომდე.

კახაბერ ერადემ საბჭოს წინაშე წარმოადგინა რეკომენდაცია, რომ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილებაში მიეთითოს პროგრამის დაზუსტებული დასახელება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.2 და 2.3 კომპონენტების ნაწილში საკითხი განიხილება მონიტორინგის დანიშვნით. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ, რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს.

კოლეჯის დირექტორმა მონიტორინგის თარიღად დაასახელა 30 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „აისის“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში **(დანართი 15)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდირებულია მონიტორინგი ადგილზე ვიზიტით.

18. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ციური დურული და გივი დოლიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ციური დურულის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „აისში“ განხორციელებული ვიზიტი „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტი განცორციელდა 2 ივლისს. კოლეჯს სურს მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1 ინდიკატორი 2- რეკომენდირებულია, შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებდეს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ყველა არსებით პირობას, უფრო კონკრეტულად კი წარმოდგენილ ხელშეკრულებებში ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია „ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით“, ასევე რეკომენდირებულია თითოეულ მასწავლებლის ხელშეკრულებებში ეწეროს რა მოდულებს ახორციელებენ ისინი.

კოლეჯმა წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებები, სადაც ასევე მითითებულია კონკრეტული მოდულის დასახელება.

2.4.2 ინდიკატორი 2 - რეკომენდირებულია ვერიფიკაციის პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავდეს, ანუ ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობს. ეს გათვალისწინებულია როგორც ითქვა უკვე.

კოლეჯის A , B, და C გარემორბი აღჭურვილია საჭირო ყველა ინვენტარით 15 სტუდენტისთვის. აქვთ საგნობრივი პროგრამის გამოცდილება. საბჭოს წარმოუდგინა წინა ანალოგიური პროგრამის ფარგლებში, სასწავლო პროცესში შექმნილი მოპირკეთება თვალსაჩინოებად.

დარგის ექსპერტმა გივი დოლიძემ აღნიშნა, რომ 9 მოდულიდან 7 მოდულის განხორციელება იგეგმებოდა ერთი განმახორციელებელი პირი და ვიზიტის პერიოდშივე გადაანაწილეს სხვა მასწავლებლებზეც და შესაბამისად აღარ აისახა დასკვნაში. შესაბამისად პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები ერთხმად ეთანხმებიან ექსპერტთა მოსაზრებებს, შესაბამისად მიზანშეწონილად არ მიიჩნევა დამატებითი მონიტორინგის ჩანიშვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საგანმანათლებლო პროგრამა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში (**დანართი 16**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

19.სსიპ - კოლეჯი „აისსისთვის“ „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: ციური დურული და გენადი კვერენჩხილაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ციური დურული განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „აისში“ განხორციელდა ვიზიტი „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა პირველ ივლისს. კოლეჯს აქამდე ქონდა ანალოგიური საგნობრივი პროგრამა და ეხლა სურს დაიმატოს პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. დაწესებულებას სურს 30 სტუდენტის მიღება (სრულად ინტეგრირებული). შესაბამის გარემოში არის 15 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა, შესაბამისად ორ ჯგუფში 30 სტუდენტი.

აღნიშნა, რომ აქვთ შესანიშნავი მინი საწარმო, რომელიც 2009 წელს იქნა მოწყობილი გაეროს განვითარების პროექტის ფარგლებში და აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და მანქანა-დანადგარებით.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა ამ მინი საწარმოს ფარგლებში გადიან ყველა სწავლის შედეგზე. დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა ადგილზე.

საბჭომ აღნიშნა, რომ ინტეგრირების საკითხი სხვა პროგრამის შემთხვევაში საბჭომ უკვე შეისწავლა და აღარ საჭიროებს დამატებით განხილვას. ამავდროულად თითქმის ყველათვის ნაცნობია კოლეჯში ამ პროგრამის სასწავლო გარემო, ეს ერთგვარი სავიზიტო ბარათია მათთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „აისის“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავების“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში **(დანართი 17)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივლისი.

20.სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საოფისე საქმის“ (ლაგოდეხი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ლევან მადათოვი და მათა დუნდუა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

